*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---აგვისტო 2024 წელი**

**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ ნამორაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ზურაბ ნამორაძის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**


X:498304 Y:4613992
ზურაბ წამორაძის ქ.
X:498229 Y:4613576

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

5

06-03232261-03
17-03241213б-03

11 / აგვისტო / 2023 წ.

KA011761515078023

№ 173195

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ასლი: ლამზირა ჩაჩუას

ბატონო გიორგი,

2022 წლის 10 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) წარედგინა ლამზირა ჩაჩუას N172079/17 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ელენე გოკიელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (სასაფლაოსთან) არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე ნუმერაციის განხორციელება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების მიხედვით, თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებულ ტერიტორიაზე (სასაფლაოს მიმდებარედ) არსებული გზის მონაკვეთები სახელდებული არ არის.

განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდება.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ტაბატაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY


წერილის ნომერი: **03-03232787**
თარიღი: **05/10/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2023 წლის 14 აგვისტოს საქმე #06-03232261-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ლამზირა ჩაჩუას N 172079/17 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია ელენე გოკიელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (სასაფლაოსთან) გზათა ქსელის სახელდება.
გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი განცხადება, შეისწავლოთ გარემოებები და თუ თქვენს სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დანართში მითითებული ტერიტორიის სახელდება, გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებულ ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის სიტუაციური ნახაზი.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

წერილის ნომერი: **16-01241211290**
თარიღი: **30/04/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 05.10.2023 წლის #03-03232787 (05.10.2023 წ. #14-01232783090-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი